თანამშრომლობა საპოლიციო და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე

საპოლიციო და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის განყოფილება, ყოფილი სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის განყოფილება, წევრ სახელმწიფოებს ეხმარება ევროპის საბჭოს სტანდარტების ინტეგრირებაში ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, ასევე ევროპის საბჭოს ისეთი სადამკვირვებლო ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაციების სისრულეში მოყვანაში, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი, ასევე ადამიანის უფლებათა კომისარი და საპარლამენტო ასამბლეა.

საპოლიციო და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის განყოფილება ახორციელებს მრავალ პროექტს ისეთ სფეროებში, როგორიცაა, პოლიცია, პრობაცია, ციხეები ან სხვა დახურული ტიპის დაწესებულებები, სადაც ხვდებიან თავისუფლებააღკვეთილი ადამიანები. საპოლიციო და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის განყოფილება უშუალოდ თანამშრომლობს **ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან** ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების საკითხებში ტექნიკური დახმარების გზით ბენეფიციარების დასახმარებლად.

მეთოდოლოგია

- **საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლებიც ეხმარებიან ციხეების, პრობაციის და საპოლიციო სისტემების რეფორმირებას**
- **საკანონმდებლო პროცესებისთვის დახმარების გაწევა** (რჩევები, დისკუსიები, დოკუმენტების მომზადება)
- **ციხის, პრობაციისა და საპოლიციო უწყებების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება**
- **ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები**

მოქმედების სამი მთავარი სფერო

ძალოვანი უწყება | **სასჯელაღსრულება** | **პრობაცია**

ძალოვანი უწყება

- საპოლიციო საკითხებზე წლიური კონფერენცია ახალი გამოწვევების გასაანალიზებლად, ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად, ასევე პარტნიორობის განსამტკიცებლად
- ახალი საპოლიციო ქსელის ამოქმედება
- ადგილობრივ ხელისუფლებასთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პროექტები და აქტივობები

სასჯელაღსრულება

საპოლიციო და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის განყოფილება ეხმარება ქვეყნებს ისეთი საკითხების გაძლიერებაში, როგორიცაა, პატიმართა უფლებები, ციხეებში ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის სამკურნალო პროგრამების, ხოლო მოძალადე ექსტრემისტი პატიმრებისთვის მდგრადი რეაბილიტაცია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემების მჭიდრო თანამშრომლობა, პენიტენციური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება ციხეებში რადიკალიზაციის აღმოფხვრის მიზნით, დინამიური უსაფრთხოების დანერგვა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესება, და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა განათლებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა.

პრობაცია

საპოლიციო და თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე თანამშრომლობის განყოფილება ეხმარება ქვეყნებს პრობაციის პრაქტიკაში სრულ დანერგვაში საჭირო საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამოქმედო ჩარჩოს უზრუნველყოფის გზით.

@CPDL_CoE

www.coe.int/cpdl

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE